ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიულ საკითხთა კომისიის სხდომის

ო ქ მ ი N27

სხდომის ჩატარების დრო:
24 იანვარი, 2023 წელი

სხდომის ჩატარების ადგილი:
რუსთაველის გამზირი N3
ადგილობრივი თვითმმართველობის
შენობაში არსებული სხდომათა დარბაზი

სხდომას თავმჯდომარეობდა საკრებულოს იურიდიულ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე, ქალბატონი თეა ჯუღელი.

ესწრებოდნენ კომისიის წევრები:

დიმიტრი მხეიძე, გია ბასილაძე, პაატა ლილუაშვილი, ბაქარ მახარაძე, ბექა ქებულაძე.

სულ: 6 წევრი.

არ ესწრებოდნენ: ხათუნა არველაძე, კახაბერ გაბუნია, ლაშა შალამბერიძე, თედო მესხი, რომან ქვაჩაკიძე.

სულ: 5 წევრი.

სხდომა გახსნა საკრებულოს იურიდიული კომისიის თავმჯდომარემ, ქალბატონმა **თეა ჯუღელმა** და წარმოადგინა სხდომის დღის წესრიგის შემდეგი პროექტი:

1. ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნების“ დაფუძნების ცნობად მიღების შესახებ“ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 3 დეკემბრის N12 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე;
2. ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიული კომისიის 2023 წლის სამუშაო გეგმა-გრაფიკის დამტკიცების შესახებ.

დღის წესრიგის პროექტთან დაკავშირებით მოსაზრებები არ გამოთქმულა.

საკრებულოს უირიდიულ საკითხთა კომისიის თავმჯდომარემ, ქალბატონმა თეა ჯუღელმა დღის წესრიგის პროექტთან დაკავშირებით გამოაცხადა ღია კენჭისყრის დაწყება. რეგისტრაცია გაიარა კომისიის 6-მა წევრმა. კენჭისყრის პროცედურას არ ესწრებოდნენ კომისიის წევრები: ხათუნა არველაძე, კახაბერ გაბუნია, ლაშა შალამბერიძე, თედო მესხი, რომან ქვაჩაკიძე.

ღია კენჭისყრით, ერთხმად **დ ა ა დ გ ი ნ ე ს** :

დამტკიცდეს კომისიის სხდომის დღის წესრიგი წარმოდგენილი რედაქციით.

მ ო ი ს მ ი ნ ე ს:

დღის წესრიგით გათვალისწინებული პირველი საკითხის- **„ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნების“ დაფუძნების ცნობად მიღების შესახებ“ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 3 დეკემბრის N12 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“**

ზემოაღნიშნულ საკითხზე განკარგულების პროექტი წარმოადგინა ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიულ საკითხთა კომისიის თავმჯდომარემ, ქალბატონმა **თეა ჯუღელმა.**

(განკარგულების პროექტი
ოქმს თან ერთვის)

ქალბატონმა **თ.ჯუღელმა** აქვე განმარტა: „მოგახსენებთ, რომ ჩვენ გვქონდა ფრაქციის თავმჯდომარის ერთი ვაკანტური თანამდებობა, შესაბამისად ფრაქციიდან შემოსულია დოკუმენტაცია, იურიდიული კომისიის მიერ ცნობად მიღების შემდეგ, განკარგულების პროექტს სხდომისათვის მოამზადებს საკრებულო, ქალბატონი მანანა ჩიხლაძის ფრაქციის თავმჯდომარის მოადგილედ არჩევა გამოიწვევს „ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნების“ დაფუძნების ცნობად მიღების შესახებ“ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 3 დეკემბრის N12 განკარგულებაში ცვლილების შეტანას და თქვენის ნებართვის წაგიკითხავთ განკარგულების პროექტს,

საქარათველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თფვითმმართველობის კოდექსი“ 38-ე მუხლის მე-2 პუნქტის, საქართველოს კანონის „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი“ 63-ე მუხლის, „ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 14 ივლისის N1 დადგენილების დანართის 35-ე მუხლის მე-14 პუნქტის, 37-ე მუხლის მე-3 პუნქტისა და ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიულ საკითხთა კომისიის დასკვნის საფუძველზე:

მუხლი 1. ცნობად იქნეს მიღებული ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიულ საკითხთა კომისიის დასკვნა „ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნების“დაფუძნების ცნობად მიღების შესახებ“ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 3 დეკემბრის N12 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.“

მუხლი 2. ცნობად იქნეს მიღებული, რომ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნების“ თავმჯდომარის მოადგილედ არჩეულია ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი, მანანა ჩიხლაძე.

მუხლი 3. ზემოაღნისნულიდან გამომდინარე, შეტანილ იქნეს ცვლილება „ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნების“ დაფუძნების

ცნობად მიღების შესახებ“ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 3 დეკემბრის N12 განკარგულებაში, კერძოდ, შეიცვალოს განკარგულების მე-2 მუხლის მე-4 პუნქტი და ჩამოყალიბდეს შემდეგი რეაქციით: „4. ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნების“ თავმჯდომარის მოადგილეებად არჩეული არიან ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრები: ზაქრო მამასახლისი, დიმიტრი მხეიძე, ჯემალ ბიბილეიშვილი და მანანა ჩიხლაძე, რომელთა თანამდებობრივი სარგო განისაზღვრება „საჯარო დაწესებულებაში შრომის ანაზღაურების შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ დამტკიცებული საკრებულოს ფრაქციის თავმჯდომარის მოადგილისათვის გათვალისწინებული თანამდებობრივი სარგოს განაკვეთის ოდენობით.“

მუხლი 4. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს, კანონით დადგენილი წესით, ქუთაისის საქალაქო სასამართლოში (ვ.კუპრაძის ქუჩა N11), მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

მუხლი 5. განკარგულება ძალაში შევიდეს კანონით დადგენილი წესით.“

საკითხთან დაკავშირებით მოსაზრებები არ გამოთქმულა.

საკრებულოს უირიდიულ საკითხთა კომისიის თავმჯდომარემ, ქალბატონმა თეა ჯუღელმა დღის წესრიგის პირველ საკითხთან დაკავშირებით გამოაცხადა ღია კენჭისყრის დაწყება. რეგისტრაცია გაიარა კომისიის 6-მა წევრმა. კენჭისყრის პროცედურას არ ესწრებოდნენ კომისიის წევრები: ხათუნა არველაძე, კახაბერ გაბუნია, ლაშა შალამბერიძე, თედო მესხი, რომან ქვაჩაკიძე.

ღია კენჭისყრით ერთხმად **დ ა ა დ გ ი ნ ე ს** :

მუხლი 1. მოწონებულ იქნეს განკარგულების პროექტი „ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნების“ დაფუძნების ცნობად მიღების შესახებ“ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 3 დეკემბრის N12 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“

მუხლი 2. დღის წესრიგის პირველ საკითხზე მიღებულ იქნეს დასკვნა შენიშვნების გარეშე თანდართული რედაქციით და წარედგინოს საკრებულოს ბიუროს უახლოეს სხდომას განსახილველად.

მ ო ი ს მ ი ნ ე ს:

დღის წესრიგის მეორე საკითხის- **„ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიული კომისიის 2023 წლის სამუშაო გეგმა-გრაფიკის დამტკიცების შესახებ“**

ზემოაღნიშნულ საკითხზე განკარგულების პროექტი წარმოადგინა ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიულ საკითხთა კომისიის თავმჯდომარემ, ქალბატონმა **თეა ჯუღელმა.**

I კვარტალი

1	ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიულ საკითხთა კომისიის 2023 წლის სამუშაო გეგმის დამტკიცების შესახებ	საკრებულოს იურიდიულ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე	იანვარი
2	არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „მუნიციპალური ინსპექციის“ ანგარიში გაწეული მუშაობის შესახებ	არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „მუნიციპალური ინსპექციის“ ხელმძღვანელი	თებერვალი
3	ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის-მუნიციპალური და საბინაო ინფრასტრუქტურის განვითარების სამსახურის ანგარიში გაწეული მუშაობის შესახებ	ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის-მუნიციპალური და საბინაო ინფრასტრუქტურის განვითარების სამსახურის ხელმძღვანელი	თებერვალი
4	ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის-სოციალური სამსახურის ანგარიში გაწეული მუშაობის შესახებ	ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის-სოციალური სამსახურის ხელმძღვანელი	მარტი
5	ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის გენდერზე პასუხისმგებელი პირის წლიური ანგარიში	ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის გენდერზე პასუხისმგებელი პირი	მარტი

II კვარტალი

1	ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის	ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის	აპრილი

	პირველადი სტრუქტურული ერთეულის-ურბანული დაგეგმარების, ძეგლთა დაცვის და სამშენებლო ნებართვების სამსახურის ანგარიში გაწეული მუშაობის შესახებ	პირველადი სტრუქტურული ერთეულის-ურბანული დაგეგმარების, ძეგლთა დაცვის და სამშენებლო ნებართვების სამსახურის ხელმძღვანელი	
2	მიმდინარე საკითხები	საკრებულოს იურიდიულ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე	აპრილი
3	შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „ქუთაისის ავტოსატრანსპორტო კომპანიის“ ანგარიში გაწეული მუშაობის შესახებ	შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „ქუთაისის ავტოსატრანსპორტო კომპანიის“ ხელმძღვანელი	მაისი
4	ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკური განვითარების, ადგილობრივი თვითმმართველობის ქონებისა და ტრანსპორტის მართვის სამსახურის ანგარიში 2023 წლის განმავლობაში გაწეული სამუშაოს თაობაზე	ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკური განვითარების, ადგილობრივი თვითმმართველობის ქონებისა და ტრანსპორტის მართვის სამსახურის ხელმძღვანელი	მაისი
5	არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „ქალაქ ქუთაისში საზოგადოებრივი ჯანმრთელობისა და უსაფრთხო გარემოს უზრუნველყოფის ცენტრი“ ანგარიში, გაწეული მუშაობის შესახებ	არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „ქალაქ ქუთაისში საზოგადოებრივი ჯანმრთელობისა და უსაფრთხო გარემოს უზრუნველყოფის ცენტრი“-ს ხელმძღვანელი	ივნისი
6	მიმდინარე საკითხები	საკრებულოს იურიდიულ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე	ივნისი

III კვარტალი

1	შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „ქუთაისლიფტის“ ანგარიში გაწეული მუშაობის შესახებ	შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „ქუთაისლიფტის“ ხელმძღვანელი	ივლისი
2	არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „სპეციალური სერვისების“ ანგარიში გაწეული მუშაობის შესახებ	არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „სპეციალური სერვისების“ ხელმძღვანელი	ივლისი
3	შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „ქუთაისის პროფილაქტიკური დეზინფექციის სადგურის“ ანგარიში გაწეული მუშაობის შესახებ	შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „ქუთაისის პროფილაქტიკური დეზინფექციის სადგურის“ ხელმძღვანელი	აგვისტო
4	არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „ქუთგანათების სერვისის“ ანგარიში გაწეული მუშაობის შესახებ.	არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „ქუთგანათების სერვისის“ ხელმძღვანელი	სექტემბერი
5	მიმდინარე საკითხები	საკრებულოს იურიდიულ საკითხთა კომისიის ხელმძღვანელი	სექტემბერი

IV კვარტალი

1	ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიულ საკითხთა კომისიის ანგარიში (2022 წლის ოქტომბრიდან 2023 წლის ოქტომბრამდე) გაწეული მუშაობის შესახებ	საკრებულოს იურიდიულ საკითხთა კომისიის ხელმძღვანელი	ოქტომბერი

2	ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის-აუდიტის სამსახურის ანგარიში გაწეული მუშაობის შესახებ	ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის-აუდიტის სამსახურის ხელმძღვანელი	ნოემბერი
3	შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „ქართული ტრადიციები 2011“-ის ანგარიში გაწეული საქმიანობის შესახებ	შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „ქართული ტრადიციები 2011“-ის ხელმძღვანელი	ნოემბერი
4	2024 წლის ბიუჯეტის პროექტის განხილვა	საკრებულოს ეკონომიკის, იურიდიულ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე	დეკემბერი
5	მიმდინარე საკითხები	საკრებულოს ეკონომიკის, იურიდიულ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე	დეკემბერი

ქალბატონმა **თ.ჯუღელმა** აქვე განმარტა: „შესაძლებელია ამ ჩამონათვალს დაემატოს საკითხები, მომდევნო თვიდან ეტაპობრივად დავიწყოთ, როგორც მერიის სამსახურების, ასევე არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირებისა და შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებების ანგარიშების მოსმენა, დავინტერესდეთ მათი საქმიანობის სფეროებით და შევაფასოთ მათი მუშაობა, მაგალითად გენდერზე პასუხისმგებელი პირის ანგარიშის მოსმენა მნიშვნელოვან საკითხად მიმაჩნია, ასევე არსებობს „დეზინფექციის სამსახური“ და ჩვენ ვალდებულები ვართ ვაწარმოოთ მონიტორინგი, ასევე გეგმა-გრაფიკით გავითვალისწინე შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „ქუთაისლიფტის“ ანგარიშის მოსმენა, ლიფტების პრობლემა დღეს ძალიან აქტუალურია და როგორც მერიის მიერ დაფუძნებული შპს, ჩვენი ვალდებულება და პასუხისმგებლობაა ფატალური შედეგის დადგომამდე ვიმოქმედოთ შეძლებისდაგვარად, გვქონდეს მათ წარმომადგენლებთან კომუნიკაცია და პრობლემების გადაჭრაში დავეხმაროთ, აქვე გავამახვილებ თქვენს ყურადღებას შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „ქართული ტრადიციები 2011“-თან დაკავშირებით, რომელიც სასაფლაოებს კურირებს და ასევე ვალდებულები ვართ მათი საქმიანობით დავინტერესდეთ, შევაფასოთ და გვქონდეს კომუნიკაცია.“

ა ზ რ ი გ ა მ ო თ ქ ვ ე ს, დაისვა შეკითხვები, გაკეთდა განმარტებები:

კომისიის წევრი, ბატონი **ბაქარ მახარაძე:** „მოგეხსენებათ ხუთივე კომისია ვამტკიცებთ ჩვენი კომისიების გეგმა-გრაფიკს, უპრიანი ხომ არ იქნება, რომ ის სამსახურები, ა(ა)იპ-ები ან

შპს-ები, რომლებიც საერთო გვყავს, თვეების მიხედვით დავამთხვიოთ მათი ანგარიშების მოსმენა და გავაერთიანოთ კომისიათა სხდომები?“

იურიდიულ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე, ქალბატონი **თეა ჯუღელი:** „დაგეთანხმებით, ნამდვილად სწორი მიდგომაა, გთავაზობთ ჩვენი გეგმა-გრაფიკები გავაზიაროთ ერთმანეთთან და მივიღოთ შეთანხმებული გადაწყვეტილება.“

კომისიის წევრი ბატონი, **ბაქარ მახარაძე:** „ვფიქრობ უმჯობესია გეგმა-გრაფიკის განხილვა გადავდოთ, ერთმანეთთან შეთანხმების და უკეთ ჩამოყალიბების მიზნით.“

იურიდიულ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე, ქალბატონი **თეა ჯუღელი:** „გეთანხმებით ბატონო ბაქარ, ერთობლივი კომუნიკაციით უკეთ შევჯერდეთ საკითხთა თანმიმდევრობაზე, შეიძლება მოხდეს სხვა სამსახურების დამატებაც და ერთმანეთის აზრის გათვალისწინებით უკეთესი ფორმულირებით ჩამოვაყალიბოთ აღნიშნული გეგმა.“

საკითხთან დაკავშირებით დებატები შეწყდა.

საკრებულოს უირიდიულ საკითხთა კომისიის თავმჯდომარემ, ქალბატონმა თეა ჯუღელმა დღის წესრიგის მეორე საკითხთან დაკავშირებით გამოაცხადა ღია კენჭისყრის დაწყება. რეგისტრაცია გაიარა კომისიის 6-მა წევრმა. კენჭისყრის პროცედურას არ ესწრებოდნენ კომისიის წევრები: ხათუნა არველაძე, კახაბერ გაბუნია, ლაშა შალამბერიძე, თედო მესხი, რომან ქვაჩაკიძე.

ღია კენჭისყრით ერთხმად **დ ა ა დ გ ი ნ ე ს**:

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდილ საკითხთა კომისიის სხდომის დღის წესრიგის მეორე საკითხი „ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიული კომისიის 2023 წლის სამუშაო გეგმა-გრაფიკის დამტკიცების შესახებ“ გადაიდოს სამომავლო განხილვისათვის, სხვა კომისიებთან კომუნიკაციის შედეგად მისი უკეთ შესწავლისა და ფორმულირების მიზნით.

ამით, ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიულ საკითხთა კომისიის სხდომამ მუშაობა დაამთავრა.

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს იურიდიულ საკითხთა
კომისიის თავმჯდომარე

თეა ჯუღელი